

### **ტესტის სახელწოდება:**

CK (კრეატინკინაზა)

### **ტესტის ალტერნატიული დასახელება:**

კრეატინფოსფოკინაზა

### **რას იკვლევს მოცემული ტესტი:**

მოცემული ტესტი სისხლში კრეატინკინაზას დონეს ადგენს. კრეატინკინაზა ენზიმია, რომელიც სისხლში მუდმივად არის მცირე რაოდენობით. მაგრამ სხეულის რომელიმე კუნთის დაზიანებისას, მისი დონე მკვეთრად მატულობს.

ამგვარად, ამ ანალიზით შეიძლება კუნთის დაზიანების დადგენა, თუმცა დაზიანების მიზეზის ან მდებარეობის შესახებ CK-ის ტესტი არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის.

### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

როდესაც ეჭვი აქვთ კუნთების დაზიანებაზე.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

მომზადებას არ საჭიროებს.

### **შედეგების ინტერპრეტაცია:**

კრეატინკინაზას მაღალი დონე შესაძლოა კუნთების დაზიანებით იყოს გამოწვეული.